

კახეთში 11 ათასზე მეტი ტონა ყურძენია გადამუშავებული



ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგიდე დავით ტყემალაძე რთველის მიმდინარეობას სიდნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში გაეცნო და რამდენიმე ისეთ მცირე მარანს ესტუმრა, რომლებიც ახლა იწყებენ ღვინის წარმოებასა და ბაზარზე

რეაღიზაციას.

დავით ტყემალაძის განცხადებით, სახერმწიფოს ხელშეწყობით მცირე მარნების რაოდენობა კახეთის რეგიონში ბოლო წლებში რამდენჯერმე გაიზარდა და ამჟამად მარტო კახეთში 500-ზე მეტს ითვლის, რაც მიანიშნებს, რომ მეღვინეობის ინდუსტრია სწორი მიმართულებით ვითარდება, ევროპის განვითარებული მეღვინეობის ქვეყნების მაგარიტზე.

„2019 წლის ივნისის ბოლოდან განვითარებული მოვლენების ფონზე, როდესაც ქართული ღვინის ყველაზე მსხვილ საექსპორტო ბაზარზე ექსპორტის შემცირებას და რუსეთის მხრიდან ქართული ღვინის იმპორტზე სანქციების შესაძლო დაწესების მოლოდინს კერძო სექტორის აქტივობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოეხდინა, ამის მიუხედავად, ღვინის ეროვნულმა სააგენტომ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და მეღვინეობის ინდუსტრიასთან ერთად იმუშავა, რომ მოსახლეობას ყურძნის რეაღიზაციის პრობლემა არ შექმნოდა და რთველი კახეთში შეფერხებების გარეშე დაწყებულიყო. რთველი კახეთში პიკურ ფაზას დაახლოებით ერთ კვირაში მიაღწევს“, – აღნიშნა დავით ტყემალაძემ.

წერს კახეთში 200-250 ათას ტონამდე ყურძნის მოსავალს ელოდებიან.

ამჟამად გადამუშავებულია 11 ათასზე მეტი ტონა ყურძენი.

რთველი 2019-ის საკოორდინაციო შტაბი თელავში, სასტუმროში „ღვინის სასტუმრო თელავი“ (The Wine Hotel Telavi, ადაზნის ქ. 97) განთავსდა. სახელმწიფო უწყებებს, მენარმეებსა და მევენახეებს შორის აქტიური კომუნიკაციის მიზნით, შტაბი 24-საათიან რეჟიმში მუშაობს. დაინტერესებულ პირებს რთვერთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შეუძლიათ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელი ხაზზე – 1501.